# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 279

11 სექტემბერი 2018 წ

ქ. თბილისი

**საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი საპრივატიზებო საფასურით №01.18.03.005.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 115-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეთანხმდეს „საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი საპრივატიზებო საფასურით №01.18.03.005.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №18.717.1083 განკარგულებით გათვალისწინებული №01.18.03.005.025 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონით პრივატიზება, აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი საპრივატიზებო საფასურით - 3948910 (სამი მილიონ ცხრაას ორმოცდარვა ათას ცხრაას ათი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე